

ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო კურსის სახელწოდება	ბერძნული ენის სინქრონული თარგმანის კურსი (იურიდიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ტერმინოლოგია) Greek Language Simultaneous Translation Course (Juridical, Econmical and Political Terminology)
ავტორი	სვეტლანა ბერიკაშვილი
ლექტორი	სვეტლანა ბერიკაშვილი, ენების ცენტრის მასწავლებელი, მოწვეული ლექტორი, თსუ, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, ტელეფონი: 25 32 20, e-mail: svetlishka@yahoo.com
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	1. ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ახალი ბერძნული ფილოლოგია 2. ბაკალავრიატი 3. არჩევითი
სასწავლო კურსის მიზანი	ითვალისწინებს სტუდენტთა მომზადებას იურიდიულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში პრესის, ინტერნეტიდან ამოღებული მასალისა და ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებზე, ასევე, სისხლის სამართლის, სამოქალაქო, პროცესუალურ და სხვა სახის კოდექსებზე დაყრდნობით; სწავლისას მოხდება ათვისებული ტერმინოლოგიის პრაქტიკულად დამუშავება სხვადასხვა სახის სავარჯიშოების დახმარებით: სინქრონული თარგმანის აპარატურის გამოყენება, უშუალოდ ზეპირი თარგმანის განხორციელება და მასთან დაკავშირებული აუცილებელი ჩვევების ათვისება, მოსმენილი მასალის ზეპირი და წერილობითი პერიფრაზირება, სწრაფ თარგმანში ვარჯიში კომპიუტერების საშუალებით და სხვ.
კრედიტების რაოდენობა და საათების გადანაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS)	<ul style="list-style-type: none"> • 5 კრედიტი. • ორსაათიანი ლექცია და ერთსაათიანი სემინარი • სალექციო – 30 სთ. • ჯგუფური მუშაობა – 15 სთ, (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩატარების – 2 სთ. – თითო საათი თითო შუალედურ გამოცდაზე) • შუალედური გამოცდებისთვის მომზადება – 4-4 სთ. (სულ 8) • საბოლოო გამოცდისთვის მომზადება – 9 სთ. • საბოლოო გამოცდის ჩაბარება – 5 სთ. • ლექცია-სემინარებისთვის მომზადება – 58 სთ.
სასწავლო კურსის შესავლის წინაპირობები	ახალი ბერძნული ენა 3
სწავლის შედეგი	ცოდნა და გაცნობიერება: სინქრონული თარგმანის ფართო ცოდნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. სინქრონულ და თანმიმდევრულ თარგმანთან დაკავშირებული საკითხების გაცნობიერება (მისი განსხვავება წერითი თარგმანისაგან); ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: სინქრონული

	<p>თარგმანის ჩატარება, თარჯიმნისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება: მათ შორის ფორსმაჟორულ სიტუაციაში სწრაფი რეაგირების უნარი, მულტიკულტურულ გარემოში მუშაობის უნარი, ინდივიდუალური მიდგომისა და საკითხზე კონცენტრირების უნარი და სხვ.</p> <p>დასკვნის უნარი: სინქრონთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის და ახალი მეთოდოლოგიური ტენდენციების გაცნობა; სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, საკუთარი დასაბუთებული დასკვნისა და მიდგომის ჩამოყალიბება თარგმანთან მიმართებაში.</p> <p>კომუნიკაციის უნარი: საერთაშორისო კონტაქტების გარცელების შედეგად სინქრონული თარგანი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. შესაბამისად, მისი ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა ზეპირი კომუნიკაციის უნარის განვითარება. ასევე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება. კურსის დამთავარებისას სტუდენტი შეძლებს ამ უნარების გამოყენებას საერთაშორისო კონფერენციებზე, ფორუმებზე, სამუშაო შეხვედრებსა და ოფიციალური მოლაპარაკებების დროს. ასევე, გამოიყენებს მას საერთაშორისო ორგანიზაციებში, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში;</p> <p>სწავლის უნარი: საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;</p> <p>ღირებულებები: სხვა კულტურის, პიროვნების ღირსების, მულტიკულტურული სამყაროს პატივისცემისა და ადამიანური ურთიერთობის მნიშვნელობის განვითარების უნარი.</p>												
სასწავლო კურსის შინაარსი	იხ. დანართი.												
სწავლებისა და სწავლის მეთოდები	ვერბალური მეთოდი, ინტერაქტიული სწავლების მეთოდი, ჯგუფური მუშაობის მეთოდი, აუდიო-ლინგვისტური მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი, უშუალო პრაქტიკის მეთოდი, ენის სწავლების კომპიუტერული მეთოდი (არა ე-ლერნინგ, არამედ სოფტწარე-ს სპეციალიზირებული პროგრამების, ონ-ლინე რეჟიმში შედგენილი ტესტების, სპეციალიზირებული თამაშების გამოყენება).												
შეფასების კრიტერიუმები	<table border="1" data-bbox="587 1529 1492 1783"> <tr> <td>ლექციაზე დასწრება</td> <td>10%</td> </tr> <tr> <td>სემინარებში/პრაქტიკუმებში მონაწილეობა</td> <td>20%</td> </tr> <tr> <td>I კოლოკვიუმში მონაწილეობა და მისი შედეგი</td> <td>15%</td> </tr> <tr> <td>II კოლოკვიუმში მონაწილეობა და მისი შედეგი</td> <td>15%</td> </tr> <tr> <td>საბოლოო გამოცდა: წერითი (10%), ზეპირი (30%)</td> <td>40%</td> </tr> <tr> <td>საბოლოო შეფასება</td> <td>100%</td> </tr> </table> <p>სემინარებში მონაწილეობაში იგულისხმება სტუდენტების მიერ დამოუკიდებლად მომზადებული მასალის ზეპირად წარმოდგენა. შეფასების მაქსიმალური ქულაა 20. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მასალის დამუშავების დონე, ინფორმაციის სიზუსტე, საკითხის ირგვლივ მსჯელობის უნარი, მასალის ბერძნულად წარმოდგენის დონე.</p> <p>19-20 ქულა – სტუდენტს ჩაბარებული აქვს პროგრამით</p>	ლექციაზე დასწრება	10%	სემინარებში/პრაქტიკუმებში მონაწილეობა	20%	I კოლოკვიუმში მონაწილეობა და მისი შედეგი	15%	II კოლოკვიუმში მონაწილეობა და მისი შედეგი	15%	საბოლოო გამოცდა: წერითი (10%), ზეპირი (30%)	40%	საბოლოო შეფასება	100%
ლექციაზე დასწრება	10%												
სემინარებში/პრაქტიკუმებში მონაწილეობა	20%												
I კოლოკვიუმში მონაწილეობა და მისი შედეგი	15%												
II კოლოკვიუმში მონაწილეობა და მისი შედეგი	15%												
საბოლოო გამოცდა: წერითი (10%), ზეპირი (30%)	40%												
საბოლოო შეფასება	100%												

გათვალისწინებული ყველა საკითხი, აქვს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, შეუძლია მასალის გადმოცემა ამომწურავად პროფესიულ ენაზე. პასუხობს პროგრამასთან დაკავშირებულ დასმულ დამატებით შეკითხვებს;

15-18 ქულა – სტუდენტს ჩაბარებული აქვს პროგრამით გათვალისწინებულ საკითხთა უმრავლესობა, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეუძლია მასალის სათანადო დონეზე გადმოცემა;

10-14 ქულა – სტუდენტი ერკვევა პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მნიშვნელოვან ნაწილში; მაგრამ სრულად არ აქვს ათვისებული დასახელებული ლიტერატურა;

3-9 ქულა - სტუდენტს ჩაბარებული აქვს საკითხების ნახევარზე მეტი დამაკმაყოფილებლად, ძირითადი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტად აქვს დამუშავებული ან კარგად აქვს ჩაბარებული პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მხოლოდ მცირე ნაწილი.

0-3 ქულა – სტუდენტს პროგრამით გათვალისწინებული საკითხებიდან არც ერთი საკითხი არა აქვს ჩაბარებული დამაკმაყოფილებლად.

კოლოკვიუმების ანუ შუალედური გამოცდების შეფასება ხდება ტესტის საშუალებით, სადაც ხუთი საკითხია წარმოდგენილი. თითოეული საკითხის შეფასების მაქსიმალური ქულაა 3, კოლოკვიუმის მაქსიმალური შედეგი 15 ქულაა. ამათგან პირველი საკითხი ნაცნობი ტექსტის თარგმანია ბერძნულიდან ქართულად, მეორე – უცნობი ტექსტის თარგმანი, მესამე – ტექსტის პერიფრაზირება, მეოთხე – სათანადო ტერმინოლოგია, მეხუთე – ტექსტის თარგმნა ქართულიდან ბერძნულად. ტესტები იქნება ონ-ლინე რეჟიმში, განსაზღვრულ დროზე.

საბოლოო გამოცდა არის კომბინირებული წერა/ზეპირის სახით. მაქსიმალური ქულაა 40. აქედან წერილობითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 10, ხოლო ზეპირის 30 ქულა.

წერილობით გამოცდაში წარმოდგენილია ერთი საკითხი - უცნობი ტექსტის თარგმნა გავლილი ტერმინოლოგიის (იურიდიული, ეკონომიკური ან პოლიტიკური) გამოყენებით.

8-10 ქულა: თარგმანი შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე. სტუდენტი სწორად გადმოცემს ტექსტში მოცემულ ტერმინებს. თარგმანი ზუსტია და სრულად შეესაბამება ორიგინალს.

5-7 ქულა: თარგმანი შესრულებულია კარგად, სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ ტერმინოლოგიას, დაშვებული აქვს უმნიშვნელო შეცდომები;

3-4 ქულა: თარგმანი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნაკლოვანი, მოცემულია ტექსტის მხოლოდ ერთი ნაწილი, ტერმინები არ არის ზუსტად გადმოცემული, დაშვებულია ორთოგრაფიული შეცდომები;

1-2 ქულა: თარგმანი მხოლოდ ფრაგმენტულად არის მოცემული და მისი ძირითადი ნაწილი არსებითად მცდარია;

0 ქულა: პასუხი შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არ არის მოცემული.

ზეპირ გამოცდაზე ცოდნის შემოწმება ხდება ბილეთების

	<p>საშუალებით. თითოეულ ბილეთში მოცემულია სამი საკითხი, ამათგან პირველი საკითხი არის თეორიული, მეორე – გავლილი მასალიდან ტექსტის თანმიმდევრული თარგმანის შესრულება, მესამე – გავლილი მასალიდან ტექსტის სინქრონული თარგმანის შესრულება. თითოეული საკითხის მაქსიმალური ქულაა 10, სულ ზეპირი გამოცდა ფასდება 30 ქულით.</p> <p>8-10 ქულა: სტუდენტს ამომწურავად შეუძლია მასალის გადმოცემა. კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ თეორიულ მასალას. საფუძვლიანად აქვს ათვისებული პოლიტიკური, ეკონომიკური და იურიდიული ტერმინოლოგია. შეუძლია მაღალ კვალიფიცირებულ დონეზე, როგორც სინქრონული, ასევე თანმიმდევრული თარგმანის შესრულება. პასუხობს პროგრამით გათვალისწინებულ დამატებით შეკითხვებს.</p> <p>5-7 ქულა: პასუხი არის გადმოცემული დამაკმაყოფილებლად, სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ერკვევა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იურიდიულ ტერმინოლოგიაში, მაგრამ თარგმანის დროს უშვებს შეცდომებს;</p> <p>3-4 ქულა: პასუხი ნაკლოვანია, სტუდენტს ძირითადი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტად აქვს დამუშავებული, არ შეუძლია სათანადო დონეზე თარგმანის გაკეთება;</p> <p>0-2 ქულა: პასუხი შესაბამისი არ არის, ბილეთში მოცემული არც ერთი საკითხის პასუხი არ არის დამაკმაყოფილებელი ან მისი ძირითადი ნაწილი არსებითად მცდარია.</p> <p>სტუდენტს სემესტრის განმავლობაში უნდა ჰქონდეს არაუმცირეს 11 ქულისა</p>
<p>საგაღმწეო ლიტერატურა</p>	<ul style="list-style-type: none"> • Lynn Visson, From Russian into English: An Introduction to Simultaneous Interpretation, Second Edition, Focus Publishing, 1999 USA. • Π. Χρ. Αγγελουπόλου. Βασικές Έννοιες Αστικού Δικαίου, Εκδόσεις Αντ. Ν. Σακκούλα, Αθήνα – Κομοτηνή 2003. • Διοικητική Δικονομία, Επιμέλεια: Θεόδωρος Φορτσάκης, Αν. Καθηγητής Πανεπιστημίου Αθηνών, Νομική Βιβλιοθήκη, Αθήνα 2005. • Φορολογική Νομοθεσία, Επιμέλεια Θεόδωρος Π. Φορτσάκης, Αν. Καθηγητής Πανεπιστημίου Αθηνών, Ιωάννης Γ. Φωτόπουλος, Δικηγόρος, Δ.Ν., Β' έκδοση, Νομική Βιβλιοθήκη, Αθήνα 2006. <p>აღნიშნული ლიტერატურა ხელმისაწვდომია თსუ, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ახალ ბერძნულ ბიბლიოთეკაში.</p>
<p>დამატებითი ლიტერატურა და სხვა</p>	<ul style="list-style-type: none"> • Margaret Bowen, The Jerome Quarterly, Vol. 12, Issue 3, Journal Of The Washington Academy Of Sciences, Washington 1985. • Σβεtlάνα Μπερικασβίλι, Η ιδιαιτερότητα της διδασκαλίας της ταυτόχρονης και της διαδοχικής μετάφρασης (από την ελληνική σε γεωργιανή γλώσσα), Οι Νεοελληνικές Σπουδές στη Γεωργία, Προβλήματα και Προοπτικές, Τριplίδα 2007. • Michael S. Hiotakis, English-Greek Dictionary of Legal-Business Terms, Daidalos, Athens 1992.

	<ul style="list-style-type: none"> • Μιχάλης Στ. Χιωτάκης, Λεξικό Ελληνο-Αγγλικό Νομικής και Εμπορικής Ορολογίας, Εκδόσεις Αντ. Ν. Σακκούλα, Αθήνα – Κομοτηνή 2000. • Λεξικό της Σύγχρονης Οικονομίας, Θεωρητικής & Εφαρμοσμένης, Αγγλοελληνικό & Ελληνοαγγλικό, 2^η Έκδοση Συμπληρωμένη & Βελτιωμένη, Εκδόσεις Σταφυλίδη, επιμέλεια επιστημονική Βασίλης Α. Ορφανός (Ph. D. in Economics), Athens 2003. <p>ასევე გამოყენებული იქნება აუდიო, ვიდეო მასალა და შოუტუნარე-ს პროგრამები, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • Audio CD: Ελληνικός Λόγος, 39 Προσωπικότητες από τον Ελευθέριο Βενιζέλο έως τον Ανδρέα Παπανδρέου, Αρχείο της Ελληνικής Ραδιοφωνίας 1998. • Software Program: 30 χρόνια από το Σύνταγμα του 1975, τα Ελληνικά συντάγματα από το Ρήγα έως σήμερα, Βουλή των Ελλήνων 2005. • Video: Ειδήσεις από το ΕΡΤ. <p>(დანართის გრაფაში “დასამუშავებელი ლიტერატურა” ცალკეულ საკითხებზე ზოგჯერ მოცემულია სხვა დამატებითი ლიტერატურაც)</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია/პირობები</p>	

დანართი

ლექცია/ სემინარი	ლექციის / სემინარის თემა	დასამუშავებელი ლიტერატურა
1	<p>ზოგადი ინფორმაცია სინქრონული თარგმანის სპეციფიკასა და სინქრონისტიის ძირითად წესებზე; სინქრონული თარგმანის სხვადასხვა სახეობები; ენების დაჯგუფებები; განსხვავებები ზეპირსა და წერილობით თარგმანს შორის.</p> <p>ნდრეას პაპანდრეუს გამოსვლის მოსმენა : Η δήλωση του Ανδρέα Παπανδρέου στη βουλή περί της υπογραφής του Συντάγματος. ზეპირი თანმიმდევრული თარგმანის შესრულება</p>	<p>Lynn Visson, From Russian into English: An Introduction to Simultaneous Interpretation, Second Edition, Focus Publishing, 1999 USA, გვ. 7-19.</p> <p>Margaret Bowen, The Jerome Quarterly, Vol. 12, Issue 3, Journal Of The Washington Academy Of Sciences, Washington 1985, გვ. 11.</p> <p>Σβετλანა Μπερικασβίλι, Η ιδιαιτερότητα της διδασκαλίας της ταυτόχρονης και της διαδοχικής μετάφρασης (από την ελληνική σε γεωργιανή γλώσσα), Οι Νεοελληνικές Σπουδές στη Γεωργία, Προβλήματα και Προοπτικές, Τιφλίδα 2007, გვ. 16-25.</p> <p>Audio CD: Ελληνικός Λόγος, 39 Προσωπικότητες από τον Ελευθέριο Βενιζέλο έως τον Ανδρέα Παπανδρέου, Αρχείο της Ελληνικής Ραδιοφωνίας 1998.</p>
2	<p>ძირითადი წესები და ლექსიკური ერთეულები, რასაც უნდა მიაქციოს ყურადღება სინქრონისტმა თარგმანის შესრულებისას. ყურადღების გამახვილება ტერმინოლოგიაზე, საკუთარ სახელებზე, თარიღებზე, რიცხვით სახელებზე, თანამდებობებზე და ა. შ.</p> <p>ბერძნული და ქართული ენების სინტაქსური წყობების თავისებურებები.</p> <p>პრესიდან ამოღებული ტექსტების განხილვა</p>	<p>Lynn Visson, From Russian into English: An Introduction to Simultaneous Interpretation, Second Edition, Focus Publishing, 1999 USA, გვ. 37-43.</p> <p>Σβετλანა Μπερικασβίλι, Η ιδιαιτερότητα της διδασκαλίας της ταυτόχρονης και της διαδοχικής μετάφρασης (από την ελληνική σε γεωργιανή γλώσσα), Οι Νεοελληνικές Σπουδές στη Γεωργία, Προβλήματα και Προοπτικές, Τιφλίδα 2007, გვ. 20-22.</p> <p>ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი 1996.</p> <p>Αχιλλέας Τζαρτζάνου, Νεοελληνική Σύνταξις (Της κοινής Δημοτικής) τομ. Α΄, Εκδοτικός Οίκος Αδελφών Κυριακίδη, Αθήνα 2002.</p> <p>Αχιλλέας Τζαρτζάνου, Νεοελληνική Σύνταξις (Της κοινής Δημοτικής) τομ. Β΄, Αθήνα 2002.</p> <p>www.tanea.gr</p> <p>www.ethnos.gr</p>

<p>3</p> <p>ძირითადი იურიდიული ტერმინოლოგიის გაცნობა,</p> <p>ტექსტი: Διαίρεση του Δίκαιου: Εσωτερικό Δίκαιο</p> <p>ტექსტის თანმიმდევრული და სიტყვა-სიტყვითი თარგმანის გაკეთება</p> <p>სინქრონული აპარატურის მუშაობის გაცნობა, დამუშავებული ტექსტის სინქრონული აპარატურის მეშვეობით თარგმნა</p> <p>სავარჯიშო სხვადასხვა ლექსიკურ ფრაზაზე, რომელიც ხშირად გვხვდება თარგმანისას</p>		<p>ძირითადი იურიდიული ტერმინოლოგია ამოკრეფილია ლექსიკონიდან: Μιχάλης Στ. Χιωτάκης, Λεξικό Ελληνο-Αγγλικό Νομικής και Εμπορικής Ορολογίας, Εκδόσεις Αντ. Ν. Σακκούλα, Αθήνα – Κομοτηνή 2000.</p> <p>Π. Χρ. Αγγελόπουλου. Βασικές Έννοιες Αστικού Δικαίου, Εκδόσεις Αντ. Ν. Σακκούλα, Αθήνα – Κομοτηνή 2003, გვ. 6-10.</p> <p>Ευαγγελία Ξ. Παναγοπούλου, Άννα Χατζηπαναγιωτίδη, Ελληνικά για προχωρημένους (ομογενείς και αλλογενείς), γ' κύκλος, Αριστοτέλειο Πανεπιστήμιο Θεσσαλονίκης, Ινστιτούτο Νεοελληνικών Σπουδών, Θεσσαλονίκη 1997, Ενότητα 12: Πολιτεία.</p>
<p>4</p> <p>ძირითადი პოლიტიკური ტერმინოლოგიის გაცნობა.</p> <p>ტექსტები: ახალი სტატიები.</p> <p>ტექსტების თანმიმდევრული და სიტყვა-სიტყვითი თარგმანის გაკეთება</p> <p>დამუშავებული ტექსტის სინქრონული აპარატურის მეშვეობით თარგმნა</p> <p>სავარჯიშო სინონიმებზე პოლიტიკური ტერმინების გამოყენებით</p>		<p>ძირითადი პოლიტიკური ტერმინოლოგია ამოკრეფილია ლექსიკონიდან: Michael S. Hiotakis, English-Greek Dictionary of Legal-Business Terms, Daidalos, Athens 1992.</p> <p>Lynn Visson, From Russian into English: An Introduction to Simultaneous Interpretation, Second Edition, Focus Publishing, 1999 USA, გვ. 54-60.</p> <p>ამოღებულია ვებ-გვერდიდან: www.news.antenna.gr</p> <p>სინონიმები ამოკრეფილია დამუშავებული ტექსტებიდან.</p>

<p>5</p>	<p>ძირითადი ეკონომიკური ტერმინოლოგიის გაცნობა</p> <p>ტექსტი: Κώδικας φορολογίας εισοδήματος, φορολογία εισοδήματος φυσικών προσώπων, Επιβολή φόρου. ტექსტის თანმიმდევრული და სიტყვა-სიტყვითი თარგმანის გაკეთება</p> <p>დამუშავებული ტექსტის სინქრონული აპარატურის მუშეობით თარგმნა. საბერძნეთის სამინისტროების ზუსტი დასახელებები სავარჯიშო სამინისტროების დასახელებებზე</p>	<p>ძირითადი ეკონომიკური ტერმინოლოგია ამოკრეფილია ლექსიკონიდან: Λεξικό της Σύγχρονης Οικονομίας, Θεωρητικής & Εφαρμοσμένης, Αγγλοελληνικό & Ελληνοαγγλικό, 2^η Έκδοση Συμπληρωμένη & Βελτιωμένη, Εκδόσεις Σταφυλίδη, επιμέλεια επιστημονική Βασίλης Α. Ορφανός (Ph. D. in Economics), Athens 2003.</p> <p>Φορολογική Νομοθεσία, Επιμέλεια Θεόδωρος Π. Φορτσάκης, Αν. Καθηγητής Πανεπιστημίου Αθηνών, Ιωάννης Γ. Φωτόπουλος, Δικηγόρος, Δ.Ν., Β' έκδοση, Νομική Βιβλιοθήκη, Αθήνα 2006, გვ. 81-83.</p> <p>Ευαγγελία Ξ. Παναγοπούλου, Άννα Χατζηπαναγιωτίδη, Ελληνικά για προχωρημένους (ομογενείς και αλλογενείς), γ' κύκλος, Αριστοτέλειο Πανεπιστήμιο Θεσσαλονίκης, Ινστιτούτο Νεοελληνικών Σπουδών, Θεσσαλονίκη 1997, Ενότητα 12: Πολιτεία.</p>
<p>6</p>	<p>დელეგაციის თანხლებისათვის საჭირო ტერმინოლოგიის გაცნობა: მისალმება, წარდგენა, გაცნობა, დახვედრა, სასტუმროში ნომერის შეკვეთა, სატელეფონო საუბრები, ფოსტა, თხოვნა, დაპატიჟება, სადღეგრძელოები და ა. შ.</p> <p>კონსტანტინოს ცაცოსის გამოსვლის მოსმენა : Για πρώτη επέτειο της υπογραφής της συμφωνίας της συνάξεως της Ελλάδος στην Ευρωπαϊκή Οικονομική Κοινότητα το 1980.</p> <p>ზეპირი თანმიმდევრული თარგმანის შესრულება</p>	<p>Lynn Visson, From Russian into English: An Introduction to Simultaneous Interpretation, Second Edition, Focus Publishing, 1999 USA, გვ. 233-240.</p> <p>შესაბამისი ბერძნული ტერმინები ამოკრეფილია სხვადასხვა ლექსიკონიდან.</p> <p>Audio CD: Ελληνικός Λόγος, 39 Προσωπικότητες από τον Ελευθέριο Βενιζέλο έως τον Ανδρέα Παπανδρέου, Αρχείο της Ελληνικής Ραδιοφωνίας 1998.</p>
<p>7</p>	<p>გავლილი ტექსტების თანმიმდევრული ზეპირი თარგმანის, სინქრონული თარგმანის შესრულება აპარატურის საშუალებით (გამეორება)</p> <p>კოლოკვიუმი - ტესტი: უცნობი ტექსტის თარგმანი, წინადადებების პერეფრაზირება, სინონიმები, ტერმინების ზუსტი თარგმნა. ტესტები იქნება ონ-ლინე რეჟიმში, განსაზღვრულ დროზე.</p>	

8	<p>კოლოკვიუმში დაშვებული შეცდომების ანალიზი</p> <p>საპროცედურო ტერმინოლოგიის გაცნობა (სხდომის ჩატარება, კონფერენცია, სიმპოზიუმი და ა. შ.)</p> <p>სხდომის გახსნა, ტერმინები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სინქრონისტმა წინადადებების რედაქტირებისას, დღის წესრიგის მაგალითი, სხდომის დახურვა .</p> <p>სხდომის ჩატარების სხვადასხვა მაგალითის მოსმენა.</p> <p>ვარჯიში სხდომის ჩატარების თარგმანზე სინქრონული აპარატურის მეშვეობით.</p> <p>სპეციალიზირებული თამაში სხვადასხვა ტერმინების შესაბამისობაზე.</p> <p>განსხვავებები სინონიმებში: συνδίασκειψη, συνδέριο, συσκεψη, συνεδρίαση და ა. შ.</p>	<p>Lynn Visson, From Russian into English: An Introduction to Simultaneous Interpretation, Second Edition, Focus Publishing, 1999 USA, გვ. 174-182.</p> <p>Audio CD: Ελληνικός Λόγος, 39 Προσωπικότητες από τον Ελευθέριο Βενιζέλο έως τον Ανδρέα Παπανδρέου, Αρχείο της Ελληνικής Ραδιοφωνίας 1998.</p> <p>Software Program: 30 χρόνια από το Σύνταγμα του 1975, τα Ελληνικά συντάγματα από το Ρήγα έως σήμερα, Βουλή των Ελλήνων 2005.</p> <p>ლექსიკური მასალა ამოკრეფილია ლექსიკონიდან: Μιχάλης Στ. Χιωτάκης, Λεξικό Ελληνο-Αγγλικό Νομικής και Εμπορικής Ορολογίας, Εκδόσεις Αντ. Ν. Σακκούλα, Αθήνα – Κομοτηνή 2000.</p>
9	<p>ადამიანის უფლებებზე ტექსტების წაკითხვა: Η UNICEF με μια ματιά, Ο δρόμος που οδηγεί στην ευημερία των παιδιών</p> <p>აღნიშნული ტექსტების ე. წ. “წრიული” თარგმანის შესრულება საინფორმაციო გადაცემის ნახვა ბერძნული არხის მეშვეობით, შინაარსის გადმოცემა.</p>	<p>ამოღებულია ვებ-გვერდიდან: www.unicef.org.gr</p> <p>EPT.</p>
10	<p>საბერძნეთის სახელმწიფო წყობილება და მასთან დაკავშირებული ტერმინები: ცენტრის მმართველობა, გარეუბნის, ნომოსი, დიმოსი</p> <p>ტექსტები: Σύνταγμα της Ελλάδας, Μορφή του Πολιτεύματος, Σχέσεις Εκκλησίας και Πολιτείας</p> <p>ტექსტების თანმიმდევრული და სიტყვა-სიტყვითი თარგმანის გაკეთება</p> <p>დამუშავებული ტექსტის სინქრონული აპარატურის მეშვეობით თარგმნა.</p> <p>სავარჯიშო საბერძნეთის სახელმწიფო წყობილებასთან დაკავშირებული ტერმინების</p>	<p>Διοικητική Δικονομία, Επιμέλεια: Θεόδωρος Φορτσάκης, Αν. Καθηγητής Πανεπιστημίου Αθηνών, Νομική Βιβλιοθήκη, Αθήνα 2005, გვ. 3-4.</p>

	თარგმანზე.	
11	<p>ტექსტი: Διαίρεση του Δίκαιου: Διεθνές Δίκαιο ტექსტის თანმიმდევრული და სიტყვა-სიტყვითი თარგმანის გაკეთება დამუშავებული ტექსტის სინქრონული აპარატურის მეშვეობით თარგმნა შემოკლებები, რომლებიც გვხვდება სინქრონის შესრულებისას</p>	<p>Π. Χρ. Αγγελοπούλου. Βασικές Έννοιες Αστικού Δικαίου, Εκδόσεις Αντ. Ν. Σακκούλα, Αθήνα – Κομοτηνή 2003, გვ. 11-15.</p> <p>Πίνακας Συντομογραφιών, Διοικητική Δικονομία, Επιμέλεια: Θεόδωρος Φορτσάκης, Αν. Καθηγητής Πανεπιστημίου Αθηνών, Νομική Βιβλιοθήκη, Αθήνα 2005, XLIII-XLIV.</p>
12	<p>სტილები: მაღალფარდოვანი, ოფიციალური, მდაბიო და მათი მნიშვნელობა სინქრონული თარგმანის შესრულებისას; იდიომური გამოთქმების და ანდაზების თარგმნა.</p> <p>ვიდეო მასალის ნახვა: Υπογραφή του Συντάγματος. ზეპირი თანმიმდევრული თარგმანის შესრულება. ვარჯიში უცხო ტექსტის თარგმანზე სინქრონის აპარატურის მეშვეობით.</p>	<p>Lynn Visson, From Russian into English: An Introduction to Simultaneous Interpretation, Second Edition, Focus Publishing, 1999 USA, გვ. 145-161.</p> <p>იდიომური გამოთქმების მაგალითები წარმოდგენილი იქნება წიგნიდან: Ε. Δεμίρη-Προδρομίδου, – Δ. Νικολαΐδου-Νέστορα, – Ν. Τρύφωνα-Αντωνοπούλου, Η γλώσσα των ιδιωτισμών και των εκφράσεων, University Studio Press, Θεσσαλονίκη 1983.</p> <p>Software Program: 30 χρόνια από το Σύνταγμα του 1975, τα Ελληνικά συντάγματα από το Ρήγα έως σήμερα, Βουλή των Ελλήνων 2005.</p>
13	<p>ზედსართავი სახელები და მათი დაკავშირება არსებითებთან, ფრაზები: κοινοβουλευτική ομάδα, κοινοβουλευτικό πολίτευμα, κοινοβουλευτική αντιπολίτευση და ა. შ.; გამოთქმები დაკავშირებული ზედსართავთან: εκλογικός; განსხვავებები დაწესებულებების გამოყენებაში: ίδρυμα, υπηρεσία, επιχείρηση, εταιρεία. კოლოკვიუმი - უცნობი ტექსტის თარგმანი გავლილი მასალის საფუძველზე.</p>	<p>ლექსიკური მასალა ამოკრეფილია ლექსიკონიდან: Μιχάλης Στ. Χιωτάκης, Λεξικό Ελληνο-Αγγλικό Νομικής και Εμπορικής Ορολογίας, Εκδόσεις Αντ. Ν. Σακκούλα, Αθήνα – Κομοτηνή 2000.</p>

<p>14</p>	<p>კოლოკვიუმში დაშვებული შეცდომების ანალიზი. ვიდეო მასალის ნახვა: Ελληνικά Επίκαιρα. ზეპირი თანმიმდევრული თარგმანის შესრულება. უცნობი სიტყვების გარჩევა, თემატიკასთან დაკავშირებული ზმნები და წარმოებული სიტყვები (παράγωγα) რომლებიც ხშირად გვხვდება თარგმანის დროს.</p> <p>ანდრეას პაპანდრეუს გამოსვლის მოსმენა : Οι πρώτες δηλώσεις του Ανδρέα Παπανδρέου μετά την εκλογή του ως πρωθυπουργού της χώρας το 1981. ზეპირი თანმიმდევრული თარგმანის შესრულება</p>	<p>Software Program: 30 χρόνια από το Σύνταγμα του 1975, τα Ελληνικά συντάγματα από το Ρήγα έως σήμερα, Βουλή των Ελλήνων 2005.</p> <p>ზმნები და წარმოებული სიტყვები (παράγωγα) ამოღებულია ლექსიკონიდან: Μιχάλης Στ. Χιωτάκης, Λεξικό Ελληνο-Αγγλικό Νομικής και Εμπορικής Ορολογίας, Εκδόσεις Αντ. Ν. Σακκούλα, Αθήνα – Κομοτηνή 2000. მაგალითად, κυβερνώ, κυβερνεί, κυβερνήτης და ა. შ.</p> <p>Audio CD: Ελληνικός Λόγος, 39 Προσωπικότητες από τον Ελευθέριο Βενιζέλο έως τον Ανδρέα Παπανδρέου, Αρχείο της Ελληνικής Ραδιοφωνίας 1998.</p>
<p>15</p>	<p>გავლილი მასალის გამეორება შემაჯამებელი გამოკითხვა</p>	